შენიშვნების ფურცელი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში შემავალ სხვა კანონპროექტებზე (07-3/67; 11.06.2025) – III მოსმენა

N	ავტორი	შენიშვნა	შენიშვნის გათვალისწინების მდგომარეობა
შენიშვნები „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით			
1	კანონპროექტზე მომხსენებელი	**კანონპროექტით წარმოდგენილ კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის შემდეგი შინაარსის 381[2] მუხლი:** **„მუხლი 381[2]. მსჯავრდებულთან უკანონო გარიგება** 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1653 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული იმ მსჯავრდებულის მიერ, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ აუნაზღაურებია დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი, 1 თვის განმავლობაში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ორმაგ ოდენობაზე მეტი სარგებლის მიღება, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტში მსჯავრდებულის სახელზე არსებულ საბანკო ანგარიშზე ელექტრონული ფორმით მიღებული ფულადი თანხისა, ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში მსჯავრდებულის სახელზე რეგისტრირებული, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებისა ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალებისა, ან/და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მსჯავრდებულის საკუთრებად რეგისტრირებული ქონებისა, –	გათვალისწინებულია.

		ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდებულისთვის საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ორმაგ ოდენობაზე მეტი სარგებლის ერთი თვის განმავლობაში გადაცემა, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტში მსჯავრდებულის სახელზე არსებულ საბანკო ანგარიშზე ელექტრონული ფორმით ფულადი თანხის გადაცემისა, ან „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებისა ან/და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალებისა, რომელიც რეგისტრირდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ან/და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრაციის ვალდებულებას დაქვემდებარებული ქონების საკუთრებაში გადაცემისა, აგრეთვე ისეთი უძრავი ქონების ან ისეთი ავტოსატრანსპორტო საშუალების სარგებლობის უფლებით გადაცემა, რომლის სარგებლობისთვის საფასურის საბაზრო ღირებულება საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ორმაგ ოდენობას აღემატება, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.“.	
შენიშვნები „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით			
2	კანონპროექტზე მომხსენებელი	**კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 22^2 ნაწილი:** „22^2. დაზარალებულის კომპენსაცია - დანაშაულის ჩადენის შედეგად დაზარალებული ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის პირდაპირ მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება ამ კოდექსით დადგენილი წესით.“. **კანონპროექტით წარმოდგენილ** კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის 50^1 მუხლი: „მუხლი 50^1. პირი, რომელსაც დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ეკისრება	გათვალისწინებულია

		ამ კოდექსის 165[4] მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონებით დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ეკისრება, უფლება აქვს: ა) ჰყავდეს ადვოკატი; ბ) გაეცნოს და მიიღოს დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის მასალები; გ) ბრალდების მხარეს წარუდგინოს დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებული მტკიცებულება და შუამდგომლობით მოითხოვოს მისი სისხლის სამართლის საქმეზე დართვა; დ) ადვოკატთან ერთად სასამართლოში მონაწილეობა მიიღოს დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებული მტკიცებულების გამოკვლევაში, მათ შორის, ადვოკატთან ერთად შეკითხვები დაუსვას ამ საკითხთან დაკავშირებით დასაკითხ მოწმეს; ე) დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებით მისცეს სასამართლოს ჩვენება, რომლის დროსაც ეკისრება მოწმის უფლება-მოვალეობანი; ვ) მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ამ კოდექსის XVII1 თავით გათვალისწინებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ეგზემპლარი; ზ) დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრების ნაწილში სააპელაციო და საკასაციო წესით გაასაჩივროს სასამართლოს მიერ ამ კოდექსის XVII1 თავით გათვალისწინებული მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენი.“. 3. 83-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 ნაწილი: „9. დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებული მტკიცებულება ბრალდების მხარემ უნდა გადასცეს ამ კოდექსის 165[4] მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ იმ პირს, რომელსაც იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონებით დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ეკისრება.“.	

		კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 57-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$გ^1$“ ქვეპუნქტი: „$გ^1$) მიიღოს დაზარალებულის კომპენსაცია ამ კოდექსით დადგენილი წესით;“.	
3	კანონპროექტზე მომხსენებელი	**კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 143^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** „ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე დანაშაულის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებითა და თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის პირველი ნაწილი, 142-ე მუხლი, 142^1 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143^3 მუხლის პირველი ნაწილი, 144^2 და 155-ე მუხლები, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 192-ე მუხლი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 223-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილები, 223^3 მუხლის პირველი ნაწილი, 226-ე, 235-ე, 239^1 და 252-ე მუხლები, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 259^4 მუხლი, 262-ე მუხლის 1^1 ნაწილი, 263-ე მუხლის პირველი ნაწილი, 284-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილები, 286^1 მუხლის პირველი ნაწილი, 286^2 მუხლის პირველი ნაწილი, 287-ე მუხლი, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე–302-ე მუხლები, 303-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე–306^1 და 317-ე მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 320-ე მუხლის პირველი ნაწილი, 321-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322^1 მუხლი, 322^2 მუხლის პირველი ნაწილი, 330^1 მუხლის პირველი ნაწილი, 331^2 მუხლი, XXXIX თავი, 343-ე, 343^1 და 344-ე მუხლები, 344^1 მუხლის პირველი ნაწილი, 344^2 მუხლის პირველი ნაწილი, 345-ე მუხლის პირველი ნაწილი, 381^2 მუხლი და 405-ე მუხლი;“.	გათვალისწინებულია

4	კანონპროექტზე მომხსენებელი	**კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 151-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^2 ნაწილი:** „3^2. დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ მიღებული ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინებით ყადაღა ასევე ედება ამ კოდექსის XVII^1 თავით გათვალისწინებულ ქონებას.“.	გათვალისწინებულია
5	კანონპროექტზე მომხსენებელი	**კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 165^3 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** 1. გამამტყუნებელი განაჩენით პირს დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება ეკისრება, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საფუძვლები: ა) მსჯავრდებული ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 187-ე და 188-ე მუხლებით (თუ ზიანი აღემატება 10 000 ლარს), 205^1 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 220-ე მუხლით, 220^1 მუხლით ან 286^1 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო; ბ) დაზარალებული წერილობით არ აცხადებს უარს მისთვის დაზარალებულის კომპენსაციის გადახდაზე. **კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 165^4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** მუხლი 165^4. დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრება 1. გამამტყუნებელი განაჩენით დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება შემდეგი თანამიმდევრობით ეკისრებათ: ა) მსჯავრდებულს – მის საკუთრებაში არსებული ქონებიდან; ბ) მსჯავრდებულის ახლო ნათესავს ან სხვა პირს – მსჯავრდებულის იმ ქონებიდან, რომელიც მან ერთჯერადი ან მრავალჯერადი გადაცემის შედეგად მსჯავრდებულის	გათვალისწინებულია. გათვალისწინებულია.

		მიერ ამ კოდექსის 165³ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემდეგ უსასყიდლოდ ან საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად დაბალ ფასად მიიღო; გ) ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მსჯავრდებულის ახლო ნათესავს ან სხვა პირს - მის საკუთრებაში არსებული იმ სხვა ქონებიდან, რომლის მიღებასთან დაკავშირებითაც იგი ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, თუ ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონება საკმარისი არ არის დაზარალებულის კომპენსაციის გადასახდელად; დ) მსჯავრდებულის ახლო ნათესავს ან სხვა პირს – მსჯავრდებულის იმ ქონებიდან, რომელიც მან ერთჯერადი ან მრავალჯერადი გადაცემის შედეგად მსჯავრდებულის მიერ ამ კოდექსის 165³ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემდეგ სასყიდლით მიიღო, თუ მსჯავრდებულის ახლო ნათესავი ან სხვა პირი ამ ქონების მიღებასთან დაკავშირებით ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო; ე) ამ ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მსჯავრდებულის ახლო ნათესავს ან სხვა პირს - მის საკუთრებაში არსებული იმ სხვა ქონებიდან, რომლის მიღებასთან დაკავშირებითაც იგი ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო, თუ ამ ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონება საკმარისი არ არის დაზარალებულის კომპენსაციის გადასახდელად; ვ) მსჯავრდებულის ახლო ნათესავს – იმ ქონებიდან, რომლის მიღებასთან დაკავშირებითაც იგი ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო;	

		ზ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381[3] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირს – იმავე ნაწილით გათვალისწინებული ქონებიდან და სატრანსპორტო საშუალებიდან. 2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში დაზარალებულის კომპენსაცია გადაიხდება მსჯავრდებულის მიმართ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე. 3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“-„ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში დაზარალებულის კომპენსაცია გადაიხდება იმავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მსჯავრდებულის ახლო ნათესავის ან სხვა პირის მიმართ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე. 4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში დაზარალებულის კომპენსაცია გადაიხდება იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო დამნაშავედ ცნობილი პირის მიმართ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე. 5. მსჯავრდებულისა და ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირის სახელით ან მათ სასარგებლოდ დაზარალებულის კომპენსაცია მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერმა პირმა შეიძლება გადაიხადოს. თუ ამ პირმა დაზარალებულის კომპენსაციის ნაწილი გადაიხადა, მის მიერ გადახდილი დაზარალებულის კომპენსაციის ეს ნაწილი დაზარალებულის კომპენსაციაში ჩაითვლება.	
		კანონპროექტით წარმოდგენილი კოდექსის 165[7] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 1. გამამტყუნებელი განაჩენით მსჯავრდებულს საქართველოდან გასვლა აეკრძალება, თუ ერთდროულად არსებობს შემდეგი საფუძვლები: ა) მსჯავრდებული ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 185-ე მუხლის მე-3 ნაწილის	გათვალისწინებულია.

		„ბ“ ქვეპუნქტით, 187-ე და 188-ე მუხლებით (თუ ზიანი აღემატება 10 000 ლარს), 205^1 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 220-ე მუხლით, 220^1 მუხლით ან 286^1 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო. 2. მსჯავრდებულს საქართველოდან გასვლა აეკრძალება 16 წლის ვადით.	
6	კანონპროექტზე მომხსენებელი	**კანონპროექტის მე-2 და მე-3 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** „მუხლი 2. 1. თუ ამ კოდექსის 165^3 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის გამოძიება დაწყებული არ არის, ამ კოდექსის 165^4 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირებს დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება დაეკისრებათ, ასევე, მისი გადახდის უზრუნველყოფის ღონიძიება შეეფარდებათ ამ კანონით დადგენილი წესით. 2. იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის გამოძიება დაწყებულია და სასამართლოს განსახილველად გადაცემული არ აქვს ან ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის სასამართლოს გადაცემული აქვს და პირველი ან მეორე ინსტანციის სასამართლო განიხილავს, ბრალდების მხარე ვალდებულია ყველა შესაძლებელ და გონივრულ ღონისძიებას/ზომას მიმართოს დაზარალებულისთვის პირდაპირ მიყენებული ქონებრივი ზიანის შესაფასებლად. 3. იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელზეც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის გამოძიება დაწყებულია და სასამართლოს განსახილველად გადაცემული არ აქვს ან ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის სასამართლოს გადაცემული აქვს და რომელსაც პირველი ან მეორე ინსტანციის სასამართლო განიხილავს, ამ კოდექსის 165^4 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირებს ამ კოდექსით დადგენილი წესით დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება არ ეკისრებათ, თუმცა ამ კოდექსის 165^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენება საქართველოდან გასვლის აკრძალვის ღონისძიება.	გათვალისწინებულია.

		4. იმ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის მესამე ინსტანციის სასამართლოს აქვს გადაცემული, ამ კოდექსის 165^4 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირებს ამ კოდექსით დადგენილი წესით დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის ვალდებულება და მისი უზრუნველყოფის ღონისძიებები არ ეფარდებათ. მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.	
შენიშვნები „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით			
7	კანონპროექტზე მომხსენებელი	**კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „$ბ^1$“ ქვეპუნქტი:** „$ბ^1$) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი შესაბამისი პირისთვის დაზარალებულის კომპენსაციის გადახდის დაკისრების შესახებ;“. **კანონპროექტის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** მუხლი 2. ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული კანონის მე-2 მუხლის „$ბ^1$“ ქვეპუნქტით განსაზღვრული განაჩენის აღსრულების წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.	გათვალისწინებულია
შენიშვნები „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით			
8	კანონპროექტზე მომხსენებელი	**კანონპროექტის პირველი მუხლის მე-2-მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნეს.** **კანონპროექტით გათვალისწინებული 44^{11}-44^{13} მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**	გათვალისწინებულია გათვალისწინებულია

		„მუხლი 44[11]. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის აღსრულების წესი 1. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძლავის შესახებ სამართლებრივი აქტების წარმოებაში მიღებასა და აღსრულებაზე, ამ თავის თავისებურებათა გათვალისწინებით, ვრცელდება ამ კანონის V თავით დადგენილი წესი. 2. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის შესახებ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ასლი აღსასრულებლად გადაეცემა პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. 3. პრობაციის ოფიცერს მსჯავრდებული აღრიცხვაზე აჰყავს, განუმარტავს მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის ვალდებულების შესრულების წესებსა და პირობებს და პერიოდულად აკონტროლებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. 4. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვა აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. 5. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის აღსრულებისას მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაკარგვის ან მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მას ეკისრება. 6. თუ მსჯავრდებულს, რომელსაც დაკისრებული აქვს მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის ვალდებულება, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, შესაბამისი პრობაციის ბიუროს უფროსი გადაწყვეტილებით აჩერებს მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის სააღსრულებო წარმოებას. 7. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის სააღსრულებო წარმოების დასრულების შემდეგ სააღსრულებო საქმე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინახება. მუხლი 44[12]. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის აღსრულების კონტროლი და ზედამხედველობა	

		1. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის აღსრულების კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი პრობაციის ბიურო. 2. მსჯავრდებული, მისი სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვალდებულია დაემორჩილოს საქართველოდან გასვლის აკრძალვის აღსრულების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და პირობებს, შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობები და სააგენტოს პრობაციის ოფიცრისა და სხვა უფლებამოსილ თანამშრომელთა კანონიერი მოთხოვნები. მსჯავრდებულის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულების ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. 3. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის აღსრულების წესები და პირობები განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით. მუხლი 44[13]. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა 1. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გაუქმებისას, აგრეთვე მსჯავრდებულის გარდაცვალებისას სააღსრულებო წარმოება წყდება. 2. მსჯავრდებულისთვის საქართველოდან გასვლის აკრძალვის შემთხვევაში განაჩენთან დაკავშირებული სააღსრულებო წარმოება შეწყდება, თუ მსჯავრდებული გადაიხდის დაზარალებულის კომპენსაციას ან დაზარალებული წერილობით უარს განაცხადებს მისთვის დაზარალებულის კომპენსაციის გადახდაზე.“. **კანონპროექტის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** მუხლი 3 1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. 2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.	გათვალისწინებულია
შენიშვნები „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით			

9	კანონპროექტზე მომხსენებელი	**კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის მე-10 მუხლის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** „1. საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოდან დროებითი გასვლისათვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე, თუ: ა) იგი იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ; ბ) იგი წარადგენს ყალბ ან ძალის არმქონე საბუთებს; გ) მის მიმართ გამოტანილია განაჩენი, რომლითაც აკრძალული აქვს საქართველოდან გასვლა.“. **კანონპროექტით წარმოდგენილი კანონის 22-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ[1]“ ქვეპუნქტი:** „ბ[1]. მის მიმართ გამოტანილია განაჩენი, რომლითაც აკრძალული აქვს საქართველოდან გასვლა.“.	გათვალისწინებულია გათვალისწინებულია